ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 თებერვალი, კვირა, 1990 წ.
№ 24 (10 193) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

სტუდენტთა სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის შესაქმნელად

შარშან, წლის მიწურულს ჩვენს მკითხველებს ვაუწყეთ იმის შესახებ, რომ ქ. მოსკოვში დაფუძნდა უმაღლესი სასწავლებლების სპორტული კლუბების საკავშირო ასოციაცია.

დამფუძნებელ კონფერენციაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების მიერ მიღებული შთაბეჭდილებებისა და ასოციაციის წესდების გაცნობის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა მსგავსი იდეა.

სტუდენტური სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაციის დაფუძნება ნაკარნახევია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორებიცაა:

— სტუდენტთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი დაჩქარებული განვითარება;

მისი მართვის სისტემის დემოკრატიზაცია, სტუდენტთა თვითმმართველობისა და სრული დამოუკიდებლობის პრინციპებზე დაყრდნობით;

— ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტის მისაღწევად ბრძოლაში ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან თანადგომა და ამ მხრივ პრაქტიკული მოღვაწეობა, საუნივერსიტეტო სპორტის მსოფლიო ფედერაციასთან და სხვა სპორტულ ორგანიზაციებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარების გზით.

ასოციაციის წესდების პროექტის შემუშავებისა და დამფუძნებელი კონფერენციისათვის მზადების მიზნით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ ასოციაციის დამფუძნებელი ორგანოების: საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს, აგრეთვე ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულ-სპორტული აქტივისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საინიციატივო ჯგუფის სხდომა გაიმართება ყოველ ოთხშაბათს 17 საათიდან, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს სააქტო დარბაზში (ა. წერეთლის პროსპექტი, 95-ა). სხდომების მუშაობაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველსა და დაინტერესებულ პირს.

წინადადებებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმაციები შეიძლება გადაიცეს ტელეფონებით: 34-81-29, 34-80-67.

ვიმედოვნებთ, რომ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა, სპეციალისტები, სტუდენტი-ახალგაზრდობა მიაწვდიან საინიციატივო ჯგუფს კონკრეტულ მოსაზრებებს, რითაც, თავიანთ წვილს შეიტანენ ამ მნიშვნელოვანი იდეის წარმატებით განსახორციელებლად.

ასოციაციის წესდების პროექტი საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნდება „ლელოში“.



შეტევაზეა ანდრეი ტიუბინი (შავ მაისურში).

ა. კოტორაშვილის ფოტო

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ანდრეი ტიუბინის 39 ქულა

თბილისი. სპორტის სახახლე. 2 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 80:72 (42:33).

„დინამო“: ტიუბინი (39), შენგელია (17), დარსაძე (11), უხტიაშვილი (5), ვაშაკიძე (5), ფერიაშვილი (3), დაუშვილი, ხანაძე, ბაჭრაძე.

რტი: გრიშჩუკი (20), დაინეკო (13), ოლბრეხტი (10), ჟოლნეროვიჩი (9), ბოჩკოვი (7), კრიშჩიკი (6), ნიკოლოზი (5), კლემეზი (2).

მსაჯები: ვ. შამახი (ლენინგრადი) და ი. გოლინსკი (კალუგა).

დუბლშემადგენლობანი — 78:82 (47:37).

თითო ან მეტი საუკეთესო მოთამაშის გამოყოფა, როგორც წესი, ყოველ მატჩში შეიძლება. არ არის აუცილებელი მათ ყველაზე მეტი ქულა შესძინონ გუნდს. საუკეთესო მოთამაშე, როგორც წესი, ყოველმხრივ საუკეთესო უნდა იყოს, გუშინწინდელ შეხვედრაში ჩვენი და ალ-

იხ. მე-3 გვ.

თვის მონაგარი

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია

შარშანდელი სპორტული სეზონი ჩვენმა ათლეტებმა კარგად დაასრულეს და შარშანწინდელი მიღწევებიც განიმტკიცეს. ნათქვამია, მადა ჰამაში მოდისო და წლეულს მეტი გამარჯვებების იმედი გვაქვს, ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ წლევანდელ სეზონში როგორ სტარტს აიღებენ ჩვენი სპორტსმენები — კარგი დასაწყისი ხომ საქმის ნახევარია. თანაც ერთის წარმატება მეორეს აგულიანებს და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად დომინოს ეფექტს ახდენს. ამდენად, ჩვენი სპორტსმენების პირველ წარმატებათა შესახებ ცნობებს დიდი ინტერესით ველოდით და იანვრის „თვის მონაგარის“ შეჯამებასაც ვჩქარობდით.

და აი, დასრულდა იანვარი, რომელმაც საქართველოს სპორტსმენებსა და მათ გულშემატკივრებს დიდი სიხარული მოუტანა. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის მოჭიდავეებზე, რომლებმაც მართლაც რომ შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს.

ახლა, მოდით, გავიხსენოთ მათი და სხვათა მიღწევებიც.

საუბარი გვინდა დავიწყოთ ჩვენი ძიუდოისტებით, რომლებმაც, თუ შეიძლება ითქვას, „უმაღლესი პილოტაჟის“ გაკვეთილები ჩაატარეს. ეს მოხდა კიევში გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატში. იქ მათ ოთხი პირველი, ორი მეორე და ხუთი მესამე ადგილი დაიკავეს. ქალაქებს შორის გამარჯვებული გამოვიდა თბილისი, რომლის ანგარიშზე ორი პირველი და თითო მეორე და მესამე ადგილი მოდის. მეორე ადგილიც წილად ხვდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქს — გორს. აქაურმა ძიუდოისტებმა ორი ოქროს მედალი დაიმსახურეს. და ეს მაშინ, როცა ახპარეზობაზე ჩვენი ორი აწყარა ფავორიტი არ გამოსულა.

იხ. მე-3 გვ.

მილიარდიანი აუდიტორია

კეთილი ნების თამაშებისთვის სიეტლი დღეს უკვე, პრაქტიკულად, მზად არის! ასე დაასრულა თავისი სიტყვა სპორტული ბიზნესის საერთაშორისო კონფერენციაზე „ტერნერ ბროდკასტინგ სისტემის“ კორპორაციის (ტი-ბი-ეს) თავმჯდომარემ რეჯ ლარდნერმა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მეტეო-სამსახურის მონაცემებით 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე სიეტლში ნალექები არ იქნება და ჰაერის ტემპერატურის მერყეობა 18-24 გრადუსით შემოიფარგლება.

ლერდნერის აზრით საორგანიზაციო კომიტეტის მთავარი ამოცანა, ამჟამად მომავალი სპორტული დღესასწაულის აქტიური პროპაგანდა უნდა იყოს. დღეისათვის ბილეთების ნახევარი უკვე გაყიდულია, მაგრამ ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. ამიტომაც საორგანიზაციო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს წამოიწყოს დიდი სარეკლამო კომპანია არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამის საშუალება კი ტი-ბი-ეს აქვს. მის გამგებლობაშია, ფაქტიურად, სამი სატელევიზიო კომპანია: სი-ენ-ენი, ტი-ენ-ტი და ჰედლაინ ნიუსი“

ეს ტელეკომპანიები, თავის მხრივ, შეჯიბრებათა მსვლელობის გაშუქების საკმაოდ ორიგინალური ხერხებით აპირებენ. ტელეობიექტივებს ცნობილი „ვარსკვლავები“, ცხადია, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ეყოლებათ, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში ეკრანზე ნაცნობ-შეგობრების რეაქციას აჩვენებენ უკვე მათი ქალაქებიდან და ოჯახებიდან. ამ მიზნით დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება არა მარტო შტატებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირში.

სხვათა შორის, როგორც ამბობენ, ამერიკელებზე უფრო დაწვრილებით ბრძოლის პერიპეტიებს საბჭოთა ტელემაყურებლები ნახავენ. ლარდნერის განცხადებით საბჭოთა კავშირი სიეტლის გადაცემებს 125 საათს დაუთმობს, იმ დროს, როცა აშშ-ში გამოსახულებათა ხანგრძლივობა 86 საათს არ უნდა აღემატებოდეს. არა და, საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით სიეტლიდან ტელესიგნალების მიღების სურვილი უკვე გამოთქვა 30-ზე მეტმა ქვეყანამ. ვარაუდობენ, რომ კეთილი ნების თამაშების აუდიტორია მილიარდ მაყურებელს გადააჭარბებს.

ტი-ბი-ესი არ ერიდება სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. მან უკვე გულდასმით შეისწავლა და განაზოგადა ენ-ბი-ისის კომპანიის გამოცდილება, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა არაფერი გამოჰპარვოდა სეულის ოლიმპიური თამაშების მსვლელობიდან და, ამის გამო, ხშირად გაუმართლებელ „ნახტომებს“ აკეთებდა ერთი ობიექტიდან მეორეზე. ტი-ბი-ესმა თავისი რეპორტაჟებისთვის სხვა სტილი აირჩია და მას უწოდა: „უფრო ნაკლები, მაგრამ ხარისხიანი“. პირველ დღეს, მაგალითად, მას გადაწყვეტილი აქვს აჩვენოს მხოლოდ მოცურავეთა, ფრენბურთელთა და ტანმოვარჯიშეთა გამოსვლები.

თამაშების ფინანსიური მხარე ტი-ბი-ესს არ აინტერესებს. კეთილი ნების პირველ თამაშებში მან 26 მილიონი იზარალა, მაგრამ, როგორც ლარდნერი აცხადებს, ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ტი-ბი-ესის მფლობელი ტედ ტერნერი ფიქრობს, რომ სიეტლში იგი აინაზღაურებს დანახარჯებს, რომლიც დაახლოებით 90 მილიონი დოლარი იქნება. მოგებას, მისი აზრით, მომდევნო თამაშები მოიტანს.

კარგი წინაპირობა

სანარმოს სპორტული ბაზა სამეურნეო ანგარიშზე?!

როცა მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ახალი ფორმა შემოიღეს, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სპორტული კლუბის წოდება. კლუბს „გამარჯვება“ დაერქვა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და უნდა ითქვას, ქარხნის სპორტულმა ორგანიზაციამ ნამდვილად გაამართლა სპორტული კლუბის წოდება. იყო გამარჯვებებიც, ზოგჯერ — ჩავარდნაც კი, მაგრამ საქმე კრიზისამდე არასდროს მისულა...

მაგრამ როცა ქარხანას ვეწვიეთ, არც სპორტული შოედნები იყო ხალხით სავსე, არც ტირში იყო რიგი იარაღებზე, არც აუზი იყო დატვირთული. ქარხანა ჩვეულებრივი რიტმით მუშაობდა. სპორტულ ბაზებზე კი სხვა ვითარება იყო...

როგორც სპროტკლუბის თავმჯდომარემ ავთანდილ მელაძემ გვითხრა, ბოლო წლებში ქარხნის ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება დაუთმო მუშა-მოსამსახურეთა აქტიურ დასვენებას. აქვე ჩამოგთვლით კიდეც, თუ რა კეთდება საწარმოში: შენდება დახურული სატრენაჟორო დარბაზი, კაპიტალური რემონტი უკეთდება აუზებს (საჭყუმპალაოსა და სტანდარტული ზომისას), საჭყუმპალაოს ცალკე უნდა აუშენდეს გასახდელი და მოსაცდელი მშობლებისათვის, რემონტშია სპორტული მოედანი და ტირი. სხვათა შორის, ტირში დამონტაჟებულია გერმანული ფირმა „სილუეტის“ დანადგარები. აუზები ადრე მხოლოდ სეზონურად მოქმედებდა, რადგან იქ გათბობა არ იყო, ახლა ეს პრობლემა გადაჭრილია და აუზები ზამთარ-ზაფხულ მიიღებს ვარჯიშის მსურველებს. ორივე აუზს ცალ-ცალკე უშენდება გასახდელი, მოქმედებს ფახიანი ჯგუფები და მათმა შემოსავალმა შარშან ცხრამეტ ათას მანეთს გადააჭარბა. აუზის დირექტორის ვალერი კარანაძის აზრით, ეს კარგი წინაპირობაა, რათა ქარხნის საცურაო კომპლექსი სამეურნეო ანგარიშზე გადავიდეს, რასაც ისინი უახლოეს მომავალში აპირებენ. ეს საშუალებას მისცემს აუზის ხელმძღვანელობას უფრო დიდ პრობლემებსაც შეეჯიდოს.

შარშან ქარხნის კოლექტივმა თავისი სპორტსმენების მეტად მნიშვნელოვანი წარმატება იზეიმა, როცა პირველად ჩატარდა რესპუბლიკის მუშათა სპარტაკიადა. კიროვის ქარხნის სპორტულმა კოლექტივმა ჯერ საქალაქო საბჭოს და მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადაზე გაიმარჯვა, შემდეგ — დარგობრივ პროფკავშირებში გამარჯვებულ გუნდებს შორის საქალაქო სპარტაკიადაში. და ბოლოს, რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ის მეოთხე საპატიო ადგილს დასჯერდა.

ყოველწლიურად ტარდება გაერთიანების პირველობა ტყვიის სროლაში, ცურვაში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში (თბილისის ჩარხსაშენებელ საწარმოო გაერთიანებაში გარდა კიროვის სახელობის ქარხნისა, შედის პროგრამული მართვის ჩარხების ქარხანა, სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო, სამშენებლო სარემონტო სამმართველო. გაერთიანების გენერალური დირექტორია თამაზ პაიჭაძე).

კიროვის ქარხნის ფეხბურთელთა გუნდი თბილისის პირველობის I ჯგუფში გამოდის და არც თუ წარუმატებლად. და მაინც, რომ ვთქვათ, კიროვის ქარხანაში სპორტული ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო, არ იქნება მართალი. ცნობილი ფაქტია, პრობლემები მასობრივ ფიზკულტურაში აქვს ნებისმიერ საწარმოს. თან მასობრივი ფიზკულტურის განვითარება უშუალოდ საწარმოს მუშაობაზე, მის ფინანსურ-ეკონომიკურ პოტენციალზეა დამოკიდებული. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კიროვის ქარხანას მილიონი მანეთი ვალი აქვს გასასტუმრებელი, მაგრამ, რაც მთავარია, სპორტკლუბის ხელმძღვანელობას ესმის, რომ დღევანდელ პირობებში მუშა-მოსამსახურეთა თანამედროვე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა. ამჟამად ქარხანაში არ არის ფართოდ გაშლილი სპორტული მუშაობა, რადგან ბაზების დროებით „თადარიგში ყოფნა“ აბრკოლებს საქმეს, მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობა უახლოეს დროში აპირებს რემონტის დამთავრებას, რის შემდეგ, იმედია, განახლებული ბაზები თავის ფუნქციებს სრულად შეასრულებს.

გარდა ამისა, ჭირს მუშა-მოსამსახურეთა მობილიზება სპორტული ღონისძიებების დროს. ძირითადად ისევ ახალგაზრდობაა დაინტერესებული ფიზკულტურით და სპორტით. ზოგიერთ ღონისძიებას ნაძალადევი ელფერიც დაჰკრავს, მაგრამ ჩარხშენებლებს ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრაც აქვთ გადაწყვეტილი.

ავთანდილ მელაძეზე ამბობენ, თუ დაგპირდა, გააკეთებს კიდეც საქმესო. ჩვენც იმედი ვიქონიოთ, რომ როცა ხელახლა ვეწვევით ქარხანას, აუზიც ამოქმედებული დაგვხვდება, სპორტული მოედანიც და დარბაზიც.

ლევან ჯავახიშვილი

„სატიო“ დაგვიწონეს...

სანაპიროზე საცურაო აუზის მშენებლობა რომ მთავრდებოდა, იქვე მცხოვრებმა ხატიოსუბნელებმა გავიგეთ, რომ სპორტკომიტეტი თხოვდა მოსახლეობას მიეწოდებინა აუზის შესაფერისი სახელწოდებები, რომელთაგანაც შეარჩევდა საუკეთესოს აუზის „მოსანათლავად“. გავგზავნეთ წერილები, ზოგმა ტელეფონით მივაწოდეთ სახელები — „ლაჟვარდვანი“, „სიმხნევე“ და ა. შ., მაგრამ უმრავლესობა მაინც ვურჩევდით — აუზს „სატიო“ დარქმეოდა.

„სატიო“ სახელწოდებაა თბილისის იმ კოლორიტული უბნისა, რომლის ტერიტორიაზეც ჩაიდგა ეს ლამაზი სპორტული ნაგებობა.

აქ, მტკვრისა და მდინარე ვერეს შესართავთან მესხეთ-ჯავახეთის, ბორჯომის ხეობისა თუ შუა ქართლის სოფლების მცხოვრებლები ჩამოდიოდნენ ტივებით, ხორაგით დატვირთულნი აქედან ბაზარში მიეშურებოდნენ, მეტივეები კი შლიდნენ ტივებს და მორები გასაყიდად აჰქონდათ დღევანდელი ავტოსადგურის (ცლბაქიძის დაღმართთან) ტერიტორიაზე მდებარე სახერხ ქარხანაში.

ეს ადგილი მეტივეთა ერთგვარ ფინიშს წარმოადგენდა და მას სატიოც ამიტომ ეწოდა, თანაც დასახელება ერთობ ლაკონურია და ლამაზი.

და მიუხედავად ამისა, სახელწოდებათა უველა კანდიდატურა დაიწუნეს და ამ სპორტულ კერას ეწოდა... „ლენინური კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის აუზი“. კომენტარები, ვფიქრობთ, ზედმეტია, აქეთ — კომკავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის გაიდეალებით, იქით — „დინამოს“ სტადიონისათვის ლენინის სახელის მიკუთვნებით მაშინ მავანისა და მავანის წინაშე კიდევ ერთხელ წაილაქუცეს ჩვენი სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელებმა.

ახლა, როცა თანდათან ვასწორებთ იმ პერიოდის სამარცხვინო ანომალიებს, ჩვენის აზრით, ამ აუზის დასახელებასაც უნდა მივუბრუნდეთ.

„სატიო“ — აი, რა სახელწოდებამ უნდა დაამშვენოს სანაპიროზე მდებარე აუზის შესასვლელი.

სატიოსუბნელთა სახელით ვახტანგ ღალინიძე, ომიხა და შრომის ვეტერანი, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის საზოგადოების მდივანი.

„ნაძალადევი“ — „ჩირაღდანი“

ბაგირის გადაძალვაზე რომ მიდგა ჯერი, ორივე გუნდის წევრებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, საქართველოს მრავალგზის ფალავანს მალხაზ ბერუაშვილს მიაპყრეს მზერა. საქმე ისაა, რომ „მხიარული შეჯიბრების“ ამ სახეობაში, მეტოქეებს უფლება ჰქონდათ დარბაზში მყოფთაგან შეერჩიათ გუნდის წევრები...

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლემ აგერ უკვე მერამდენედ უმასპინძლა „მხიარულ შეჯიბრებას“, რომლის თაოსანი იყო ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზიკური მომზადებისა და სპორტის ჯგუფი.

ამჯერად ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების წევრთა გუნდი „ნაძალადევი“ და კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების მუშაკთა ოჯახების წევრთა გუნდი „ჩირაღდანი“.

„მხიარულმა შეჯიბრებამ“, საკმაოდ დაძაბულ სპორტულ პაექრობაში ჩაიარა. მეტოქეები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. წინა ასპარეზობებისაგან განსხვავებით, შეჯიბრებაში ნამდვილი სიჩაუქე ვიხილეთ, რომელიც მონაწილეთა კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვდა. ეს საინტერესო ასპარეზობა, მცირე უპირატესობით, „ჩირაღდანმა“ მოიგო.

შეჯიბრებას, როგორც ყოველთვის, ჩვეული კომპეტენტურობით უძღვებოდა სპორტის ოსტატი თეიმურაზ ლაკია, რომელსაც ეხმარებოდნენ შვილები — ქეთინო და კობა.

ნანა ბერიშვილი, თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.



მოკლედ

ლესიჭინეს მეორე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში გამართულ მაგიდის ჩოგბურთელთა რაიონულ პირველობაზე ყველას აჯობეს ამ სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილი ჩხოროწყუს პირველმა, ხოლო მესამე — ლესიჭინეს პირველმა საშუალო სკოლამ დაიკავა. ფრენბურთელთა ასპარეზობას ჩხოროწყუს პირველმა საშუალო სკოლამ უმასპინძლა.

ჭაბუკებში საუკეთესო იყო მუხურის საშუალო სკოლის გუნდი, მეორე — ლესიჭინეს პირველი, ხოლო მესამე ადგილზე ჩხოროწყუს პირველი სკოლის წარმომადგენლები გავიდნენ.

გოგონებს შორის უძლიერესის სახელი ჩხოროწყუს პირველი საშუალო სკოლის გუნდმა დაისაკუთრა. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ხახუმისა და ქვედაჩხოროწყუს საშუალო სკოლების წარმომადგენლები.

ხოსო ჯალაღონია.

• • •

„შევარდენის“ ვანის რაიონული საბჭოს ფეხბურთელთა პირველობაში ჩაბმული იყო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საწარმოო-დაწესებულებების 20 გუნდი.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და რაიონის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბზვანის ვ. კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი გ. ტრაპაიძე).

იორამ ნიკოლეიშვილი.

სარბიელზე — პროფესორ-მასწავლებლები

ტრადიციული სპარტაკიადა

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა ტრადიციული სპარტაკიადის პროგრამით გამართულ საჭადრაკო ტურნირში 16 გუნდი შონაწილეობდა. თითოეულ კოლექტივში 3 მოჭადრაკე იყო, ამასთან, გუნდებს სურვილისამებრ შეეძლოთ ქალებიც გამოეყვანათ და ბრძოლაში ჩაებნენ საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი (ქორის ეკონომიკური ინსტიტუტი), ოსტატი ციური კობაიძე (თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) და თბილისის 1990 წლის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ლელა თანდაშვილი (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი). შეჯიბრება მიმდინარეობდა „სწრაფი ჭადრაკის“ წესებით, თითოეულ პარტიაში მოჭადრაკეს მოსაფიქრებლად 30 წუთი ეძლეოდა.

გუნდები ორად დაიყვნენ. ჯგუფებში გამარჯვებულები გადამწყვეტ მატჩებში შეხვდნენ ერთმანეთს. შარშანდელის მსგავსად I ადგილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძლიერი გუნდი დაეუფლა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოსტატები თამაზ კიკიანი, ზურაბ მიქაძე, ოსტატობის კანდიდატი ვასილ ხაჩიძე (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ირაკლი ცქიტიშვილი). II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის, მესამეზე კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი.

დაფების მიხედვით გაიმარჯვეს — პირველ დაფაზე: ოსტატობის კანდიდატმა გივი გამრეკელმა (უნივერსიტეტი) 8 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა; მეორე დაფაზე: ოსტატობის კანდიდატმა თენგიზ გიორგაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) სპარტაკიადაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა — მოიგო რვავე პარტია; მესამე დაფაზე: ოსტატობის კანდიდატმა ვასილ ხაჩიძემ (ტექნიკური უნივერსიტეტი) — 8 შესაძლებლიდან 7 ქულა.

დასასრულ გაიმართა ტურნირი „ელვისებურ ჭადრაკში“, რომელშიც 12 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. 11 შესაძლებლიდან 10,5 ქულით პირველი პრიზი გივი გამრეკელმა მოიპოვა, მეორე — საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ოთარ ალხანიშვილმა (8,5 ქულა), მესამე — ციური კობაიძემ (7 ქულა).

თვის მონაგარი

კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია

(დასასრული)

საქართველოს ათლეტთაგან ხაკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლების ანგარიში გორელმა კობა კურტანიძემ გახსნა. მის გარდა ხაპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მისი თანაქალაქელი გიორგი თენაძე, თბილისელი გურამ მოდებაძე და ზაზა დაბრუნდაშვილი. მეორე ადგილები დაიკავეს ლენტებელმა კახა ჭურახპეიანმა და თბილისელმა ვალერი პარუნაშვილმა. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ დუშელი ბათუ ჯიქური და ჭუთაისელი დავით ხახალეიშვილი. ამ უკანასკნელმა ორი მეხუთე ადგილი დაიკავა (მძიმე წონაში და აბსოლუტურ პირველობაში).

კიევში, ვაჟთა პირველობის პარალელურად, ქალთა ხაკავშირო ჩემპიონატიც ჩატარდა. აქ თბილისელმა ვიქტორია კაზუნინამ მძიმე წონის ხპორტსმენთა ჰიდილში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მანვე მეხამე ადგილი დაიკავა აბსოლუტურ პირველობაშიც.

გურამ მოდებაძემ ხაკავშირო ჩემპიონატამდე წარმატებით იასპარეზა ტოკიოში გამართულ ხაერთაშორისო ტურნირშიც, ხადაც, ახევე, არავის დაუთმო პირველობა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ხაქართველოს თავისუფალი ტანლით მოჭიდაოეებმაც, რომელებმაც ვახტანგ ბალავაძის ხახელობის თბილისის დიდ ხაერთაშორისო ტურნირზე ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

უძლიერესის ხახელი მოიპოვეს დავით ბელთაძემ, გოჩა მაკოევმა, ლერი ხაბელოვმა და დავით გობეჯიშვილმა. მეორე ადგილები წილად ხვდათ გიორგი ხინჩიკაშვილსა და ზაზა თურმანიძეს, ბოლო მეხამე ადგილებზე აღმოჩნდნენ შამილ მაგომედოვი, ვლადიმერ მოდოხიანი, მამუკა რაზმაძე, ზაზა ტყეშელაშვილი და მერაბ ვალიევი. ჩვენს მოჭიდაოეებს ამ ტურნირში ახეთი წარმატებითვის მრავალი წელია არ მიუღწევიათ. რაც მთავარია, შეჯიბრებამ რამდენიმე უაღრესად დიდი მომავლის მოჭიდავე გამოავლინა, რაც უთუოდ ამ ხახეობის აღორძინებაზე მეტყველებს.

გაგვახარა ახალგაზრდა თბილელმა მოკრივე კახა ბარავიმაც, რომელმაც ტონსბერგში (ნორვეგია) გამართულ ხაერთაშორისო ტურნირში, უფროხებთან ჭიდილში, ხამივე ბრძოლა პირველხავე რაუნდებში დაახრულა და ხაპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს ხაფეხურზე ავიდა. ამახთან, ბარავიმ ხაუკეთესო ტექნიკის მქონე მოკრივისთვის დაწესებული ხპეციალური პრიზიც დაიმსახურა.

თავისი მკლავის ძალა, პირდაპირი მნიშვნელობით, აჩვენა თბილისელმა ხპორტის ოსტატმა ზაურ ცხადაძემ. მან მოხკოვის პირველ ღია პირველობაზე ყველას აჯობა მკლავჭიდელთა აბსოლუტურ პირველობაში. აქვე 100 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესის ხახელი მოიპოვა ყაზბეგელმა თამაზ კურკუმელმა.

ჩოგბურთელთა ახალ ხაკავშირო ტურნირში, რომელიც ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონის ბორის ნოვიკოვის ხსოვნას მიეძღვნა და მოხკოვში გაიმართა, ხაუკეთესოდ გამოვიდა თბილისელი დავით კაჭარავა, რომელმაც ერთეულთა თანრიგში იმარჯვა.

ალმა-ათის მახლობლად, ჩიმბულაკში გამართულ ხამთომოთხილაშურეთა ტრადიციულ ხაკავშირო შეჯიბრებაზე („ვერცხლის ედელვაისი"), უძლიერესის ხახელი მოიპოვა ბაკურიანელმა ლევან აბრამიშვილმა და ხპორტის ოსტატის ნორმატივიც შეახრულა.

მოჯადრაკე გოგონათა ხაკავშირო პირველობაზე, რომელიც კალინინგრადში ჩატარდა, ყველას აჯობა თბილისელმა ნინო ხურციძემ. მანვე გაიმარჯვა კადეტთა ტურნირშიც. აქვე II-VI ადგილები ხხვებთან ერთად გაიყვეს ნათია ჯანჯღავამ და ნატო ეძგვერაძემ. დამატებით კოეფიციენტის დათვლისას ჯანჯღავას მეოთხე, ხოლო ეძგვერაძეს მეექვხე შედეგი აღმოაჩნდა. ხამაგიეროდ, ეძგვერაძემ კადეტთა შორის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ნონა გაფრინდაშვილმა დახავლეთ გერმანიის ქალაქ ვუპერტალში ჩატარებულ ქალთა ხაერთაშორისო ტურნირში, ახპარეზობის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გაიმალდა უძლიერესის ხახელი.

ახალგაზრდა თბილისელმა მოჭადრაკე ლაშა ჯანჯღავამ დიდ წარმატებას მიაღწია მახტინგხში (ინგლისი) გამართულ დიდოსტატთა ხაერთაშორისო ტურნირში, ხადაც I-IV ადგილები გაიყო, უკეთესი კოეფიციენტის წყალობით კი გამარჯვება ხწორედ მას დარჩა.

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში თბილისელმა დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა მოჭადრაკეთა ხაერთაშორისო ტურნირში III-IV ადგილები გაიყო.

და ბოლოს, ფეხბურთის შესახებ. უენევაში გამართულ ხაერთაშორისო ტურნირში, რომელიც მინფეხბურთში ჩატარდა, თბილისელმა დინამოელებმა მეტად ცნობილ გუნდებთან (ხაფრანგეთის „ბორდო", პორტუგალიის „ბოავისტა", იუგოხლავიის „პარტიზანი", ხახპანეთის „ხერვეტი") ჰიდილში მეორე ადგილი და მასთან ერთად ფულადი ჯილდო — 5 ათახი შვეიცარიული ფრანკი დაიმსახურეს. ამახთან, ტურნირის პირველ დღეს თბილისელთა გუნდი ხაუკეთესოდ აღიარეს. ოთარ გაბელიას ხაუკეთესო შეკარისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა, ორი პრიზით — ხაუკეთესო მოთამაშისა და ხაუკეთესო ბომბარდირის — დაჯილდოვდა თემურ ქცაბაია.

ახლა ისღა დაგვრჩენია, ჩვენს დინამოელებს ახეთი და უკეთესი მიღწევები „ნამდვილ" ფეხბურთში ვუხურვოთ.

ანდრეი ტიუბინის 39 ქულა

(დასასრული)

ბათ ხაერთო აზრით, ხაუკეთესონი იყვნენ ანდრეი ტიუბინი („დინამოში") და იგორ გრიშჩუკი (რტი-ში).

ტიუბინმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა: ხიმედოდ მოქმედებდა დაცვაში, აქტიურად მონაწილეობდა შეტევებში და, რაც მთავარია, ბრწყინვალე ხნაიპერული თვისებები გამოამჟღავნა. ტიუბინმა ამ დღეს თავის კოლექტივს 39 ქულა შეხძინა, დინამოელთა მიერ მოპოვებული ქულების თითქმის ნახევარი. მან შვიდჯერ ხამქულიანი და ექვხჯერ ორქულიანი ტყორცნა შეახრულა, ექვხი ქულა კი ხაჯარიმო ხროლებიდან აიღო. აი რატომ მივაკუთვნეთ ტიუბინს ხიმბოლურად ამ მატჩში ხაუკეთესო მოთამაშის ხახელი.

ობიექტურად „დინამო" თავის მეტოქეზე უფრო ძლიერი იყო. მაგრამ შეხვედრის მოგებისთვის მხოლოდ ობიექტური შთაბეჭდილება არ კმარა. გუნდს, ამავე დროს, უნდა შეეძლოს ბრძოლის ლოგიკური ფინალამდე მიყვანა. აი ეს კი „დინამოს" გუშინწინდელ მატჩში გაუჭირდა და ამის გამო რამდენჯერმე კრიტიკულ ზღვართან აღმოჩნდა.

პირველ ტაიმში ბრძოლა მეტ-ნაკლებად ლოგიკურად მიმდინარეობდა. დაახლოებით მე-11 წუთის შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ და შესვენებამდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. ამ მონაკვეთში „დინამო" უკეთ იცავდა თავს, აქტიურად უტევდა და უფრო ეფექტურად იბრძოდა ფარქვეშ.

შესვენების შემდეგაც ერთხანს უპირატესობას კვლავ მასპინძლები ფლობდნენ (მაქხიმალურმა სხვაობამ ანგარიშში ამ დროს 11 ქულას მიაღწია). მერე კი ელემენტარულ შეცდომათა სერიები დაიწყო. ყველაზე მეტად მდგომარეობა უყურადღებო გადაცემებმა დაძაბა. ექვს წუთში დინამოელებმა ხუთჯერ დაკარგეს ბურთი აბსოლუტურად უხიფათო პოზიციებში და მეთორმეტე წუთისთვის სხვაობა ანგარიშში ერთ ქულამდე დავიდა — 59:58.

მატჩის საბოლოო შედეგის ამოცნობა უკვე ძნელი გახდა. ყოველ ახალ უყურადღებობას, შესაძლოა, მოყოლოდა გამოუსწორებელი შედეგი. ეს იყო დინამოელთა გუშინწინდელ შეხვედრაში ყველაზე კრიტიკული მომენტი. მაგრამ საბედნიეროდ, გუნდი ადრე მოეგო გონს და მატჩის მიწურულს დაიბრუნა დაკარგული ინიციატივა.

გუშინ...

თბილისის ხპორტის ხახლში გამართა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. ანგარიშით 83:78 (53:41) გაიმარჯვეს „დინამოს" კალათბურთელებმა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 3 თებერვლისთვის

„ბუდველნ." (კ.)	32	20	12	52
ცხკა	27	23	4	50
„დინამო" (მ.)	28	20	8	48
ვეუ (რიგა)	30	18	12	48
„უალგირ." (კაუნ.)	29	13	16	42
„ხპარ." (ლენ.)	30	12	18	42
რტი (მინკი)	29	11	18	40
„კალევი" (ტალ.)	25	14	11	39
ახკ (ალმა-ათა)	20	15	5	35
„შახტ." (დონ.)	28	8	20	36
„დინამო" (ოხ.)	26	10	16	36
„სტატიბა" (ვილ.)	30	5	25	65

შენიშვნა. „სოეტსკი სპორტში" დაიბეჭდა ცნობა, რომ თბილისის „დინამოხა" და ალმა-ათის ასკ-ს მეორე შეხვედრის შედეგი გაუქმებულია და მატჩი ხელმეორედ ნეიტრალურ მოედანზე უნდა ჩატარდეს. როგორც ცნობილია, 8 იანვარს ამ ორთაბრძოლის დროს მოხდა უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც გაარჩია კალათბურთის საკავშირო ფედერაციის ხპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ. ჯერ არ მიგვიღია ხპორტულ-ტექნიკური კომისიის ოფიციალური დასკვნა და ამიტომაც ცხრილში არ შეგვაქვს შესაბამისი შესწორებები.

მსოფლიო ჩემპიონატი კარზეა მოდგარი, ჰორიზონტზეა ევროპის პირველობა

2 თებერვალს დიდი ინტერესით მოელოდა ევროპის მთელი საფეხბურთო ხაზოგადოებრიობა და არა მარტო ევროპისა. ამ დღეს შვეიცის დედაქალაქში (ამ ქვეყანაში უნდა გაიმართოს ევროპის 1992 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში) შედგა კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა.

ეს ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო ასპარეზობა თავდაპირველად ევროპის თასის სახელწოდებით იყო რეგისტრირებული, შემდეგ კი მას თავისი ღირსეული, ლოგიკური სახელი ეწოდა — ევროპის ჩემპიონატი.

პირველად ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში მონაწილეთა რაოდენობამ 34 სახელმწიფოს მიაღწია, ამიტომაც კონტინენტის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შექმნას 7 შესარჩევი ჯგუფი. მათგან ექვსში 5-5 გუნდია გაერთიანებული, ხოლო ერთში — 4. ყოველი შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებული ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს, 7 ახეთ გუნდს დაემატება შვეიცის ნაკრები, რომელიც ჩემპიონატის მაჰხპინძელია და, ამდენად, განთავისუფლებულია წინახწარი თამაშებიდან. წილისყრა საზეიმოდ მოხდა, მას შეთაურობდა წარხულში განთქმული შვედი ფეხბურთელი გუნარ ნორდალი, რომელიც დიდ ხანს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში გამოდიოდა და იტალიის პროფესიულ კლუბებშიც თამაშობდა.

წილისყრის შედეგები ახეთია:

I ჯგუფი

ესპანეთი, ჩეხოხლოვაკია, საფრანგეთი, ისლანდია, ალბანეთი.

II ჯგუფი

რუმინეთი, შოტლანდია, ბულგარეთი, შვეიცარია, ხან-მარინო.

III ჯგუფი

იტალია, ხსრ კავშირი, უნგრეთი, ნორვეგია, კიპროხი.

IV ჯგუფი

იუგოხლავია, დანია, ავხტრია, ჩრდილოეთ ირლანდია, ფარერის კუნძულები.

V ჯგუფი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ბელგია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უელხი, ლუქხემბურგი.

VI ჯგუფი

ჰოლანდია, პორტუგალია, საბერძნეთი, ფინეთი, მალტა.

VII ჯგუფი

ინგლისი, ირლანდია, პოლონეთი, თურქეთი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები დაიწყება წლეულხვე, სექტემბრიდან.

ამ წილისყრას თავისებური კომენტარი სჭირდება. უეფა-მ კონტინენტის ყველა გუნდი წინასწარ 5 კატეგორიად დაჰყო მათი რეიტინგის შესაბამისად. კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო 1988 წლის ევროპის ჩემპიონატისა და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრათა შედეგები. 7 გუნდი მიეკუთვნა პირველ კატეგორიას, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ შესარჩევ ჯგუფებს. ჩვენი ფეხბურთელები კოეფიციენტის შესაბამისად მოხვდნენ მეორე კატეგორიაში და ამიტომაც თავიანთ ჯგუფში ადგილი იტალიელთა შემდეგ დაიკავეს. ამჟამინდელ რეიტინგში იტალიის ნაკრებს ევროპაში მეოთხე პოზიცია უკავია, სსრ კავშირის ნაკრებს კი მეხვე.

ევროპის ჩემპიონატებში პირველად მონაწილეობენ სან-მარინოსა და ფარარის კუნძულების გუნდები, რომლებიც უეფა-ს წევრები არიან. ორივე ეს გუნდი თითქმის უცნობია საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში, ამიტომაც მათს შესაძლებლობაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სან-მარინოს რესპუბლიკაში სულ 22,6 ათასი მოსახლეა, ხოლო ფარარის კუნძულებზე — 43 ათასი. ამ ქვეყანაში ნორმალური ზომის საფეხბურთო მინდვრები არცაა, ამიტომაც აქაური ფეხბურთელები მასპინძლის როლში, ალბათ, შეიცავაში ითამაშებენ.

ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ გათამაშების ფინალური ნაწილი 10-26 ივნისს ჩაივლის შვეიცის 4 ქალაქში. ჩემპიონატის ფინალური ეტაპი დაიწყება 10 ივნისს სტოკჰოლმში, ცნობილია ისიც, რომ სასტარტო მატჩში ითამაშებენ შვედი ფეხბურთელები; ხოლო მათი მეტოქის ვინაობა დადგინდება შესარჩევი თამაშების დამთავრების შემდეგ. შვეიცის ქალაქები სტოკჰოლმი, გეტებორგი, მალმიო და ნორჩეპინგი სათანადოდ მოემზადებიან ამ დიდი შეჯიბრებისთვის, საჭიროა სტადიონების რეკონსტრუქცია, ტელეცენტრის, პრესცენტრისა და ჩემპიონატის სხვა საორგანიზაციო პუნქტების აღჭურვა.

რა შეიძლება ითქვას ევროპის ჩემპიონატის წილისყრის თაობაზე ახლა, „ცხელ კვალზე": თავისი შემადგენლობით ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და ძნელია მესამე ჯგუფი, სადაც აშკარად გამოკვეთილი ფავორიტები არიან იტალია და სსრ კავშირი. მათ, რა თქმა უნდა, ღირსეულ შეტოქეობას გაუწევენ უნგრელი და ნორვეგიელი ფეხბურთელები, ხოლო კიპროხის გუნდს ჯერჯერობით აუტსაიდერის როლში მოუწევს ყოფნა.

არანაკლებ რთულია პირველი ჯგუფი, სადაც გამარჯვებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს ტოლს არ დაუდებენ ესპანეთის, ჩეხოხლოვაკიისა და საფრანგეთის გუნდები; მეხუთე ჯგუფში ფინალში გასვლის კანდიდატები არიან გფრ, ბელგია, გდრ, უელხი; მეექვხე ჯგუფში გამარჯვების კონკურენტები იქნებიან ჰოლანდიელი და პორტუგალიელი ფეხბურთელები, მეშვიდეში კი ყველა მონაწილეს წარმატების მეტ-ნაკლებად თანაბარი შანხი აქვს.

მაშ ახე: წილისყრა მოხდა, თითოეული ჯგუფიდან გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავა მხოლოდ გამარჯვებული გუნდი, მათ დაემატებიან მასპინძლები — შვეიცის ფეხბურთელები.

ამნისტიაც, სასჯელიც...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ყველა ფეხბურთელი, ვინც კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში დაჯარიმდა თითო გაფრთხილებით, ამნისტირებულია და უფლება აქვს ფინალურ თამაშებში მიიღოს მონაწილეობა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც ორ-ორჯერ დაიმსახურეს ყვითელი ბარათი. ისინი ვალდებული არიან ავტომატურად გამოტოვონ თითო მატჩი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ფინალურ ტურნირამდე დარჩენილ ნებისმიერ ამხანაგურ შეხვედრაში.

რაც შეეხება ფეხბურთელთა მიერ მიღებულ წითელ ბარათებს, ე. ი. მინდვრიდან გაძევებას, აქ ამნისტია ნაწილობრივია. შესარჩევ მატჩებში მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელები თითო მატჩს გააცდენენ ფინალში. ფიფა-ს ჩამოთვლილიც ჰყავს ასეთი ფეხბურთელები, კერძოდ, ბრაზილიელი სოუზა, ჩეხოსლოვაკიელი გრიგა, რუმინელი ჰაჯი. შოხსენიებულია, აგრეთვე, იუგოსლავიელი ბაზარევიჩი, რომელმაც იუგოსლავიისა და ნორვეგიის გუნდების შეხვედრაში შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრს. ბაზარევიჩს აუკრძალეს ეროვნულ ნაკრებში თამაში 1990 წლის 11 ოქტომბრამდე.

ფიფა-მ ცნობა გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ ბრაზილიისა და ჩილის გუნდების შესარჩევ მატჩში უღირსად მოიქცა ჩილის გუნდის კაპიტანი როხასი.

ფიფა-ს დადგენილებით ჩილი გარიცხა შემდგომი, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთა რიგებიდან, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ განმარტა, რომ დისკვალიფიკაცია ეხება მხოლოდ ჩილის პირველ გუნდს, ხოლო ამ ქვეყნის ჭაბუკთა და ახალგაზრდული, აგრეთვე, ოლიმპიური ნაკრები გუნდები დაშვებული არიან საერთაშორისო ოფიციალურ ტურნირებზე.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაადგინა, რომ ნიგერიამ ფიფა-ს ჭაბუკთა შეჯიბრებაში დაარღვია დადგენილი ასაკობრივი ცენზი, ამიტომაც ეს ქვეყანა ორი წლით დისკვალიფიცირებულია იმ შეჯიბრებებში, სადაც ასაკობრივი ლიმიტი მოქმედებს. ეს ეხება ჭაბუკთა შეჯიბრებებს და ოლიმპიურ ტურნირს (ოლიმპიურ თამაშებში, როგორც იცით, მონაწილეობის უფლება აქვთ 23 წლის ასაკამდე ფეხბურთელებს). ნიგერიის პირველ ნაკრებზე ეს აღკვეთა არ ვრცელდება.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოიძია ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში საუდის არაბეთის ფეხბურთელთა ასაკის საკითხი. საუდის არაბეთი ამ შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გავიდა, გუნდის მხრივ ასაკობრივი დარღვევის ფაქტები არ დადასტურდა.

ხსრ კავშირის

ჩემპიონატი წყალბურთში

ორმოცდაშვიდსა სტარტი

2 თებერვალს ალმა-ათასა და ხარკოვში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატი. ვიდრე პირველი წრის პირველი ტურის შედეგებზე ვიტყოდეთ, რამდენიმე მომენტი გასული სეზონიდან უნდა გავიხსენოთ.

შარშან ქვეყნის მთავარი გუნდი — სსრ კავშირის ნაკრები მაინც და მაინც არ ბრწყინავდა. მან წარუმატებლად ჩაატარა მსოფლიო თასის მატჩებიცა და ევროპის ჩემპიონატიც. წლეულს მას საკმაოდ პრესტიჟული ტურნირი ელის — კეთილ ნების თამაშები. სწორედ ამის გამო საკავშირო ჩემპიონატის სტრუქტურაში ერთგვარი ცვლილებები მოხდა. გათამაშება დამთავრდება ივნისში, სექტემბერში კი სტარტს აიღებს 47-ე ჩემპიონატი. შემდგომში საკავშირო პირველობები სწორედ ამ სისტემით ჩატარდება: შემოდგომა-გაზაფხული.

წყალბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა შარშანდელი სეზონის შედეგებით საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა. ესენი არიან: მეკარე — ალექსანდრე ჩიგირი, მცველი — ალექსანდრე კოლოტოვი (ორივე — ცსკ ვმფ), მოძრავი თავდამსხმელი — სერგეი ნაუმოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი) და პოზიციური ფორვარდი — მიხეილ ივანოვი (მოსკოვის „დინამო“).

ახლა 46-ე ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის მატჩების შესახებ.

ხარკოვი. სასტარტო შეხვედრა თბილისის „დინამოს“ „მოსკვიჩთან“ ჰქონდა. სამი პერიოდის შემდეგ წინ ჩვენი წყალბურთელები იყვნენ — 4:3 (1:1, 1:0, 2:2), მაგრამ მეოთხე პერიოდი ძალზე სუსტად ჩაატარეს, წააგეს ანგარიშით 1:4 და საბოლოოდ დამარცხდნენ — 5:7. ხარკოვის „ლოკომოტივმა“ ამ დღეს მოსკოვის „ტორპედოს“ აჯობა — 7:6.

ალმა-ათა. კნფ (ბაქო) — „დინამო“ (კიევი) 6:7, ცსკ ვმფ — „დინამო“ (მოსკოვი) 11:9, „დინამო“ (ალმა-ათა) — ასკ შწფ (სევასტოპოლი) 6:6.

საბადრაკო კომპოზიცია

ცხენი

ცხენი ჭადრაკის დაფაზე გამორჩეული ფიგურაა, როგორც უჩვეულო სვლების, ისე მიმზიდველი იერის გამოც. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში იგი საჭადრაკო ენაზე „გაადამიანებულია“ (მხედარი — ქართულად, ფრანგულად, ჩეხურად, ჰუსარი — უნგრულად, მოხტუნავე — გერმანულად, დანიურად, პოლონურად), მაგრამ ამით არსი არ იცვლება — ცხენის ნახტომისებურ ორიგინალურ სვლას თავისებური სიმდიდრე შეაქვს დანარჩენი საჭადრაკო ფიგურების შედარებით ერთფეროვანი ფრონტალური (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) და დიაგონალური მოძრაობების გეომეტრიულ სურათში.

საჭადრაკო კომპოზიციის მრავალჟანრული დარგი ამ ფიგურის სვლებზე აგებულ ბევრ იდეას და თემას იცნობს. მათ შორის ერთ-ერთი უძველესია „ცხენის (მხედრის) ბორბალი“, სადაც იგი მაქსიმალური რვა პარალელური სვლით (ე. ი. რვა ვარიანტში) სრულ წრეს (ბორბალს) კრავს. ბევრი იდეაა განხორციელებული პაიკის მხედრად „გაცოცხლების“ თვისებაზე, მხედრის ორმაგ დარტყმაზე (ე. წ. „ჩანგალი“), მუდმივ დევნაზე და სხვ.

ცხენის ერთ-ერთი ლამაზი და ორიგინალური თემა, რომელიც საეტიუდო ხელოვნებაში გვხვდება, ქართველ დიდოსტატ გია ნადარეიშვილს ეკუთვნის და ცნობილია მის მიერ შერქმეული „მხედრის“ სახელწოდებით. ავტორის მიერ რამდენიმე შექმნილი ნაწარმოებიდან მოგვყავს რუმინეთის კონკურსზე პრემირებული ეტიუდი, სადაც მხედრები თამაშის პროცესში ჩნდება დაფაზე.

გ. ნადარეიშვილი, 1959



ყაიმი

შავების უპირატესობა აშკარაა, თანაც ისინი იმუქრებიან h7 უჯრაზე შამათით. ამიტომ თეთრები ასწრაფო კონტრღონისძიებებს მიმართავენ. 1. b7+ მფა7 2. dc3+! მფ:a6 (არ ვარგა 2. ...მფb8 3. a7+ მფ:b7 4. მd6+ ყაიმით) 3. b8მ+! მფa5. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მეფის ეს სვლა და მომდევნო ერთადერთი სვლებიც მხედრის ჩანგლის მუქარით არის განპირობებული. 4. მc6+ მფa4 5. მb6+ მფa3 6. ე:f3+! ლ:f3 (ლაზიერი მხედრების ახალი გავლენის სფეროში მოექცა) 7. მc4+ მფa2 8. მb4+ მფa1 9. მ:c2+ მფa2 10. მb4+ და პოზიციური ყაიმი. უხეში ძალის წინააღმდეგ მხედართა შეწყობილი ბრძოლის შესანიშნავი ნიმუში!

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მხედრების მწყობრი რიტმული სვლა თავისებურ ცეკვას გვაგონებს საჭადრაკო დაფაზე და იგი დღესაც, ოცდაათი წლის შემდეგ, ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის მნახველს. ამ ხნის განმავლობაში კომპოზიტორთა შორის მას ბევრი მომდევარი გამოუჩნდა და „მხედრულის“ თემის ნიმუშებს ახლაც ვხვდებით კონკურსებზე.

ცხენი ასევე გამორჩეული ფიგურაა ქართველი ხალხის ისტორიაში. იგი საუკუნეების მანძილზე იყო მისი სამეურნეო და სამხედრო კეთილდღეობისა და სიძლიერის განმსაზღვრელი და მასულდგმულებელი, მისი ყოველდღიური ცხოვრების, ჰირისა და ლხინის (მათ შორის სპორტული ზეიმის) გამზიარებელიც და მონაწილეც. და მეტად დასანანია, რომ ცხენებითა და მხედრებით ისტორიულად წარმოჩენილი და განთქმული ჩვენი ქვეყანა მეცხენეობისა და ცხენოსნობის დარგების განვითარების მხრივ სავალალო მდგომარეობაში ხვდება ამ გონიერი და ყოველმხრივ ძვირფასი ცხოველის წელიწადს. მკითხველებს შევახსენებთ, რომ ცხენის შემდეგი წელიწადი 12 წლის შემდეგ ოცდამეერთე საუკუნეში მოვა — 2002 წელს! იმედი გვაქვს, რომ ამ ხნის განმავლობაში მხედარი კვლავ გააბარებს თავისი სვლებით ჭადრაკის კომპოზიციის მოყვარულებს, ხოლო ნამდვილი ცხენი კი ადამიანთა საერთო ძალისხმევით ჭეშმარიტად აღიდგენს თავის კულტს საქართველოში.

მოგვყავს თბილისში დაბადებული და აღზრდილი იეზიდი პრობლემისტის შვილი დასნის გამოუქვეყნებელი მინიატურა. იგი სიმეტრიული და სიმბოლოური ნაწარმოებების ტიპს განეკუთვნება, სადაც მთავარია გარეგნული ფორმისა და რაიმე სიმბოლური მნიშვნელობის იდეის შერწყმა. შ. დასნი, რომელიც კარგად ფლობს მცირეფიგურიანი კომპოზიციების შედგენის ტექნიკას, დღეს „ლელოს“ მკითხველებს სთავაზობს სამსვლიან ამოცანას და უძღვნის მას სამფერიანი დროშის მქონე საქართველოს მომავალ თავისუფლებას. ავტორმა ამოცანის საწყის ფორმაში ჯვარი გამოსახა, ხოლო ამოხსნის პირველ სვლას სხვა შინაარსობრივი დატვირთვა მისცა, რომლის მიგნებაც ძნელი არ უნდა იყოს.

შ. დასნი

(იბეჭდება პირველად)



შამათი 3 ხვლაში

იმედია, ამოცანას დიაგრამაზევე ამოხსნით და გვაცნობებთ პასუხს ძვირფასო მეგობრებო!

პრეზიდენტი „მაკლარენის“ წინააღმდეგ

შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში იაპონიის „სუზუკას“ ტრასაზე მომხდარი ინციდენტის თაობაზე საკმაოდ არიან ინფორმირებული ავტოსპორტის მოყვარულები. ვიუწყებოდით იმის შესახებაც, რომ საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან-მარი ბალესტრმა განაცხადა, რომ არ დაუშვებს აირტონ სენას 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომლის პირველი რბოლაც 11 მარტს გაიმართება ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუ ბრაზილიელი მრბოლი სპორტიდან არ მოუხდის მას ბოდიშს. საქმე ისაა, რომ „სუზუკაზე“ მომხდარი ინციდენტის შემდეგ სენას მისცეს დისკვალიფიკაცია, რის შედეგადაც მან, ფაქტიურად, დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის ყოველგვარი შანსი. განაწყენებულმა მრბოლმა ყველაფერში ფისა-ს პრეზიდენტი დაადანაშაულა, ბრალად დასდო მის წინააღმდეგ შეთქმულებაში და სხვა მაჭინაციებში მონაწილეობა.

ჟან-მარი ბალესტრი საკმაოდ ღრძო ადამიანი აღმოჩნდა. თუ აქამდე მხოლოდ სენას დისკვალიფიკაციაზე იყო ლაპარაკი, ახლა პრეზიდენტის გულისწყრომა „მაკლარენის“ მთელ გუნდზე გავრცელდა.

— სენა მარტო არ მოქმედებდა. „მაკლარენს“ სათავეში უდგას რონ დენისი, მენეჯერი, რომლის გავლენაც აშკარად იგრძნობა ამ საქმეში — განაცხადა ბალესტრმა.

პრეზიდენტის საუბრებიდან ნათელი ხდება, რომ თუ მას არ მოუხდიან ბოდიშს, უსუპერლიცენზიოდ, რომელიც საჭიროა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, დატოვებს არა მარტო სენას, არამედ „მაკლარენის“ მთელ გუნდს.

გუნდური განაცხადებების მიღების ვადა კი 15 თებერვალს იწურება.

ტურნირის განახლების წინ

10 თებერვალს განახლდება პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა. ახლა ჩვენს გუნდს — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელებს თამაშები ექნებათ, ჯერ ფრუნზესა და სვერდლოვსკში, შემდეგ კი — პენზასა და გორკში. დღეისთვის სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	28	21	7	49
ხტუ (თბილისი)	28	19	9	47
„ვოლგა“ (ლენ.)	28	17	11	45
„ბანგა“ (ჯაუნ.)	28	17	11	45
„სტროიტ.“ (ფრ.)	28	16	12	44
„შრომ. რეზ.“ (გორკი)	28	14	14	42
„ხპარტ.“ (ხიმფ.)	28	14	14	42
„კრ. აქხაი“ (როსტოვი)	28	13	15	41
უხკ (ტარტუ)	28	12	16	40
„ურალმ.“ (სვერ.)	28	11	17	39
„სტალი“ (დნეპ.)	28	8	20	36
„სპარტ.“ (პენზა)	28	6	22	34

„სპორტლოტო-

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-4 ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.683.467 ვარიანტი. 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო. 5 ნომრის გამოცნობისთვის (50) მოგება 1.065 მანეთია, ოთხისთვის (3.299) — 22, სამისთვის (42.227) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 40.268 ვარიანტი. 6—0, 5—1 (თბილისი), 4—59, 3—1027.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 17.883.449 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (22) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (3.111) — 298, სამისთვის (139.531) — 11.

საქართველოში: დაშვებულია 529.857 ვარიანტი. 5—1 (ქუთაისი), 4—83, 3—385.

მე-4 და 1989 წლის 48-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-4 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10--ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 17 თებერვლიდან 17 მარტის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე

უ. ჟიჟინაძე

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს პროფესორ-მასწავლებელთა შემდეგ თანამდებობებზე:

ფიზიოლოგიის კათედრაზე:

პროფესორი — ორი ერთეული, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი, სპორტის ფიზიოლოგიაში მუშაობის გამოცდილებით.

დოცენტი — ერთი ერთეული, მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ფიზიოლოგიაში მუშაობის გამოცდილებით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: 23-09-02.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, №49.

კალეიდოსკოპი

გაზეთი რეკორდსმენი

ახალი წლიდან ჭაიროში გამოსვლა დაიწყო სპორტულმა გაზეთმა „ახბარ არ-რიადმა“ (სპორტის ახალი ამბები), რომელსაც უკვე რეკორდსმენს უწოდებენ ტირაჟის დარგში (400 ათასი ეგზემპლარი). საინტერესოა აღინიშნოს ასეთი დიდი ტირაჟით, არც ეგვიპტეში და არც მთელს არაბეთში არც ერთი გაზეთი არ გამოდის.

მძაფრი კონკურენციის მიუხედავად ამ ყოველკვირეულის პოპულარობა დღითი დღე მატულობს. კარგი მაგალითი ამბობენ გადამდებიაო. ახალი სპორტული გაზეთის გამოშვება დაიწყო საგამომცემლო კონცერნმა „ალ-ახრამმაც“.

„ნელსონ მანდელას“ პრიზი

ამ სახელწოდებას ატარებს პრიზი, რომელიც 1986 წელს დაწესდა და სისტემატურად გადაეცემა აფრიკის ქვეყანას მოსახლეობის ფართო ფენებში მასობრივი სპორტის დანერგვისა და პროპაგანდისთვის. წლეულს ეს ჯილდო დაიმსახურა მაროკომ და ანგოლამ. პრიზები გამარჯვებული ქვეყნების დელეგატებს გადასცა აფრიკის სპორტული კავშირის წარმომადგენელმა გენ ფხამ.

მაროკოს წარმომადგენელმა მადლობა გადაიხადა ამ პატივისთვის და განაცხადა, რომ შარშან სპორტში დემოკრატიული ძვრები მოხდა. ამას გარდა, სხვადასხვა ქალაქში წარმატებით ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირები და რეგიონალური შეჯიბრებები.

დოპინგის ჯილდოში

ამხილეს

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, დოპინგის მიღებაში მხილებულია ინგლისელი ძალოსანი დინ უილი — თანამეგობრობის თამაშების ორგზის ჩემპიონი 75 კგ წონითს კატეგორიაში. ეს მოხდა დიდი ბრიტანეთის 1989 წლის ჩემპიონატზე.

გაზეთ „ტაიმსის“ მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ეს „სადოპინგო კანონმდებლობის“ დარღვევის პირველი შემთხვევაა ინგლისის სპორტის ისტორიაში. უილს ემუქრება მკაცრი სასჯელი. კომენტატორების აზრით ბრიტანეთის ძალოსნობის ფედერაცია დამნაშავე სპორტსმენს ალბათ სამუდამო დისკვალიფიკაციას მიუსჯის.

მიჰაელ ბროსი ეძვს

გამოთქვამს

როგორც ცნობილია, მიუნხენის ოლიმპიადის ტრიუმფატორი, 39 წლის ამერიკელი მოცურავე მარკ სპიცი სპორტში დაბრუნებას აპირებს. ამასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა დასავლეთგერმანელმა მოცურავემ მიჰაელ გროსმა:

„ძალიან საინტერესო გადაწყვეტილებაა, მაგრამ სპიცი, ჩემის აზრით, ვერ განახორციელებს ჩანაფიქრს. თავის დროზე სპიცი მთელი თავით სჯობდა კონკურენტებს, მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა მოცურავის ასაკი არ აღემატებოდა 24 წელს. ახლა დროც შეიცვალა და ცურვის მეთოდიკაც, ამიტომ მეეჭვება, რომ სპიცმა რაიმეს მიაღწიოს“.

მაინც ლიდერია

მეექვსე ტურში მოულოდნელი მარცხის შემდეგ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ლიდერმა, იუგოსლავიის „იუგოპლასტიკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ახალი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად პოზნანში მან პოლონეთის „ლეხს“ აჯობა — 120:73.

ყველაზე დაძაბული ბრძოლა შედგა მილანში, სადაც ადგილობრივი „ფილიპსი“ საფრანგეთის „ლიმოჟს“ მასპინძლობდა. ფრანგებმა გაიმარჯვეს 104:99. „ლიმოჟს“ ყველაზე ბევრი ქულა ვეტერანმა დეკურიმ შესძინა — 29.

ჰოლანდიის „კომოდორე“ შინ დამარცხდა ესპანეთის „ბარსელონასთან“ — 56:67, საბერძნეთის „არისმა“ კი ისრაელის „მაკაბის“ მოუგო — 98:81. შვიდი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილი გამოიყურება ასე:

„იუგოპლასტიკა“	7	6	1	13
„ბარსელონა“	7	5	2	12
„არისი“	7	5	2	12
„ლიმოჟი“	7	5	2	12
„მაკაბი“	7	3	4	10
„ფილიპსი“	7	3	4	10
„კომოდორე“	7	1	6	8
„ლეხი“	7	0	7	7

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709